

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 20 მარტის
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: დისტანციური სხდომა (Webex პლატფორმის გამოყენებით)

სხდომის დაწყების დრო: 19:30

დისტანციურ რეჟიმში სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, მამუკა ნოზაძე, ნათია კორკოტაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ციციხოცვანი, ზურაბ როსტიაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ირაკლი ხობელიას, გიორგი კოპალეიშვილს, ზურაბ ნადირაშვილს, ირაკლი ჯანაშვილს, გიორგი წერეთელს, ელენე ჩორგოლაშვილს, თეონა მეგენიშვილს და სოფიო ვირსალაძეს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია; შესაბამისად, აღნიშნული პირების განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ირაკლი ხობელიას, გიორგი კოპალეიშვილის, ზურაბ ნადირაშვილის, ირაკლი ჯანაშვილის, გიორგი წერეთელის, ელენე ჩორგოლაშვილის, თეონა მეგენიშვილის და სოფიო ვირსალაძის განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ:

(ა) მირიან სალაძის, გიორგი ჩხატარაშვილის, ზაალ თავაძის, კახაბერ ტყაბლაძის მიერ ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ განცხადებებს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს მირიან სალაძის, გიორგი ჩხატარაშვილის, ზაალ თავაძის, კახაბერ ტყაბლაძის მიერ ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

(ბ) **ომარ ჯორბენაძის** 2020 წლის 4 მარტის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მას 2018 წლის 7 ივნისს პირადი განცხადების საფუძველზე შეუჩერდა ასოციაციის წევრობა, მაგრამ იმის გამო, რომ მას ჰქონდა 2018 წლის საწევრო დავალიანება - მას შეუწყდა წევრობა. განმცხადებელს მიაჩნია, რომ რადგან 2017 წლიდან იგი მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ექსპერტის თანამდებობაზე და ახორციელებდა საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა ადვოკატის სტატუსთან, მისი, როგორც ადვოკატის, უფლებამოსილება უნდა შეჩერებულიყო ავტომატურად. **ომარ ჯორბენაძე** განცხადებაში ითხოვდა თანდართული დოკუმენტების საფუძველზე წევრობის აღდგენას და შემდეგ წევრობის შეჩერებას.

წევრები გაეცნენ: 1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2020 წლის 5 მარტს გაცემულ ცნობას, რომლის თანახმად, 2017 წლის 18 ოქტომბრიდან - 2019 წლის 1 იანვრამდე, **ომარ ჯორბენაძე** მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სამართლებრივი მხარდაჭერის სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოში, სისხლის სამართლის საკითხებში ექსპერტის პოზიციაზე; 2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 5 მარტს გაცემულ ცნობას, რომლის თანახმად **ომარ ჯორბენაძე** 2019 წლის 4 თებერვლიდან მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში ვებ-გვერდის სამართლებრივი და ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტის პოზიციაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ **ომარ ჯორბენაძეს** 2018 წლის 7 ივნისის განცხადების საფუძველზე, როგორც 2018 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრს, აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით შეუჩერდა ასოციაციის წევრობა და 2019 წლის 2 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის, 1-ლი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად მას შეუწყდა წევრობა.

წევრებმა განაცხადეს, რომ რადგან ომარ ჯორბენაძეს შეწყვეტილი აქვს ასოციაციის წევრობა, მან უნდა მომართოს ასოციაციას ხელახალი გაწევრიანების მოთხოვნითა და საჭირო დოკუმენტებით, რომელიც განხილული იქნება აღმასრულებელი საბჭოს მიერ. ამჯერად, განმცხადებლის მიერ დოკუმენტები არ არის სრულად წარმოდგენილი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ომარ ჯორბენაძის განცხადება წევრობის აღდგენის და შემდეგ წევრობის შეჩერების შესახებ. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ: **თამთა ფირცხალავა, დიმიტრი დავითიშვილი, ნინო კვანტალიანი, ნინო კაპანაძე, გიორგი მაისურაძე, ლევანი ბეჟაშვილი, დავითი წულაია, გრიგოლ სახეჩიძე, ზვიად შუშანაშვილი, ეკატერინე ესაკია;** აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებელ წევრებს, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა, წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” კანონის 21² მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთჩამოთვლილ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს -თამთა ფირცხალავას, დიმიტრი დავითიშვილს, ნინო კვანტალიანს, ნინო კაპანაძეს, გიორგი მაისურაძეს, ლევანი ბეჟაშვილს, დავითი წულაიას, გრიგოლ სახეჩიძეს, ზვიად შუშანაშვილს, ეკატერინე ესაკიას ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სიას (დანართი1).

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-10 მუხლის 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი: 1).

საკითხი 5. სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში მედიაციის მიმართულებით ექსპერტის დამტკიცების შესახებ

წევრებმა იმსჯელეს 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის, სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში მედიაციის მიმართულებით ორი ექსპერტის დამტკიცების თაობაზე, რომლებიც როტაციის პრინციპით უზრუნველყოფენ საგამოცდო ტესტების წერის, რედაქტირებისა და გასაჩივრებული ტესტის გასწორების პროცესს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის, მედიაციის მიმართულებით სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში დამტკიცდეს სხდომაზე დასახელებული ექსპერტების კანდიდატურები (დანართი: 2).

საკითხი 6. ლევან ცალუღელაშვილის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწვევრიანების თაობაზე

წევრები გაეცნენ ლევან ცალუღელაშვილის 2020 წლის 5 მარტის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწვევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ლევან ცალუღელაშვილის 2020 წლის 5 მარტის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწვევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას ლევან ცალუღელაშვილის კანდიდატურა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრად.

საკითხი 7. ლიკა ძარიას განცხადება ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწვევრიანების თაობაზე

წევრები გაეცნენ ლიკა ძარიას 2020 წლის 18 მარტის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწვევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ლიკა ძარიას 2020 წლის 18 მარტის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწვევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას ლიკა ძარიას კანდიდატურა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრად.

საკითხი 8. ივანე ლომიძის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე

წევრები გაეცნენ ადვოკატ ივანე ლომიძის 2020 წლის 9 მარტის განცხადებას, რომლითაც იგი ითხოვდა 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტაცია).

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წლის 31 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები სარგებლობენ საწევრო შეღავათებით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ივანე ლომიძე ამჟამად მოქმედი საწევრო შეღავათების წესების შესაბამისად, სარგებლობს 50%-იანი საშეღავათო საწევრო შენატანით.

საკითხი ივანე ლომიძის 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ივანე ლომიძის 2020 წლის 9 მარტის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

საკითხი 9. 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღების დამტკიცება

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ ქვეყანაში არსებული ეპიდემიური ვითარებისა და საგანგებო მდგომარეობის გამო, მიმდინარე წლის ივნისის თვეში დაგეგმილი ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღებმა გადაიწია 2020 წლის ივლისის თვემდე. შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნულ პერიოდში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საგამოცდო დარბაზი ძალიან გადატვირთულია და ადვოკატთა ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების მიმდინარე წლის ივლისის განმავლობაში ჩატარების შესახებ; შესაბამისად, კონკრეტული თარიღების თაობაზე ინფორმაცია მოგვიანებით გახდება ცნობილი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღების დამტკიცების შესახებ საკითხის განხილვა გადაიდოს.

საკითხი 10. 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების გასაჩივრების თარიღის დამტკიცება

წევრებმა განაცხადეს, რომ 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების გასაჩივრების თარიღის დამტკიცების შესახებ საკითხი განიხილება მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება გამოცდების ჩატარების თარიღები. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდოს.

საკითხი 11. 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდების ადგილის დამტკიცება (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი. მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდოს.

საკითხი 12. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის, 2019 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება თამთა მაისურაძის ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2020 წლის 18 მარტს ასოციაციას ჩაბარდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება თამთა მაისურაძის ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

მათ იმსჯელეს და განაცხადეს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის კანონიერ ძალაში შესული. წევრებმა დააფიქსირეს პოზიცია, რომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ აღმასრულებელი საბჭო დაუბრუნდება აღნიშნული საკითხის განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: გადაიდოს საკითხის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით თამთა მაისურაძის ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე

